ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

2016 წლის იანვრიდან დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად პროპორციული წესით ,,ქართული ოცნებიდან" ამირჩიეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად .

საანგარიშო პერიოდში ვხელმძღვანელობდი საქართველოს კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით. აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს ყველა სხდომის მუშაობაში. სულ ჩატარდა 22 საკრებულოს და 26 საკრებულოს ბიუროს სხდომა, დარეგისტრირებულია 206 სამართლებრივი აქტი , აქედან: 28 დადგენილება, 73 განკარგულება და 105 ბრძანება.

აქტიურად ვმონაწილეობ ფრაქციის სხდომების მუშაობაში და როგორც საკრებულოს წევრი მხარს ვუჭერ ,,ქართული ოცნების" პოლიტიკურ კურსს. ვხვდები მოქალაქეებს და ვისმენ მათ პრობლემებს, პატივს ვცემ მათ აზრს და შეძლებისდაგვარად ვიზიარებ მათ რეკომენდაციებს.

მახარებს იმ საკრებულოს წევრობა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ქვეყნის მასშტაბით, თავის საქმიანობაში დანერგა სიახლეები მოქალაქეთა ჩართულობის გააქტიურების მიზნით. ჩვენთან, ჩვენი მხარდაჭერით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობით შეიქმნა და სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსდა პროექტები: ,,მართე სახლიდან", „ეფექტიანი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მექანიზმების დანერგვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში" , „ინფორმირების სისტემის ამოქმედება თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად" , „მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა ადგილობრივ თვითმმართველობაში". აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩვენი მოქალაქეები უკვე ღებულობენ ისეთ სერვისებს, როგორებიცაა:

- სხდომების ,,ონლაინ" ტრანსლაცია;
- სამოქალაქო ჩართულობის ცენტრების შექმნა სოფლად;
- საზოგადოებრივი აზრის კვლევის ,,ონლაინ" ინტსტრუმენტების დანერგვა;
- მოქალაქეთა „ონლაინ" მონაწილეობა, შეტყობინებების (მესიჯების) დაგზავნის სისტემის ამოქმედება;
- საკრებულოს საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზის განახლების მექანიზმის შექმნა;
- საჯარო ინფორმაცის საძიებლის შექმნა და სხვ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა, საკრებულომ განსაკუთრებით სრული მზადყოფნა გამოხატა ყველა იმ ნოვაციისათვის, რაც მის ღიაობას და ანგარიშვალდებულებას გაზრდიდა. აღვნიშნავ, რომ ყოველივე ეს ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის მუშაობას განსაკუთრებულად საინტერესოს ხდის.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს წევრებმა ამირჩიეს საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

განათლების , კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"

საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს დებულებით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია შექმნილია დებულებით დადგენილი საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს , გამგეობის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია 12 წევრით.

კომისია მუშაობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულებით.

2016 წლის სამუშაო გეგმის ძირითადი მიმართულებებია:

- მოქალაქეთა პერიოდული მიღება;
- მოქალაქეთა ჯგუფებთან შეხვედრები (საერთო კრებები);
- მოქალაქეთა ჩართვა კომისიის სხდომის მუშაობაში;
- კომისიაში შემოსული წერილების, განცხადებებისა და პროექტების განხილვა;
- მოსახლეობის ინტერესების შესწავლა კომისიის უფლებამოსილების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე;
- პარტნიორული, სისტემატური კავშირის ჩამოყალიბება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიასა და მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებსა და ა(ა) იპ-ებს შორის;
- კომისიის სხდომის მომზადება და ჩატარება;
- კომისიის ანგარიშის მომზადება და წარდგენა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი სისტემიზაცია;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ სფეროში არსებული პრობლემების ურთიერთკავშირის დადგენა და ძირითადი , პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრა;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ სფეროში პრიორიტეტული პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების შეფასება და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა;

კომისიასთან შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი: ა)განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა-უფროსი ლ. სიჭინავა წევრები: რ. სკამკოჩაიშვილი, ტ. მგელაძე და ლ. კილაძე. ბ) სოციალური უზრუნველყოფის და დასაქმების საკითხთა-უფროსი ვლ. ვადაჭკორია წევრები: ლ. ნაცვალაძე, გ. კილაძე და პ. მანჯგალაძე. გ) სპორტის , ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის საკითხთა უფროსი-ბ.ლომჯარია. წევრები: შ. დოლიძე, ბ. ღლონტი და ბ. გობრონიძე.

კომისიის სხდომები ტარდება რეგულარულად და ორგანიზებულად. განხილული საკითხები პასუხობს დებულების მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 20 სხდომა(მათ შორის 1 ერთობლივი სხდომა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად). კომისიამ განიხილა 29 საკითხი . სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინა საკრებულოს ბიუროს.

აქედან რამდენიმე საკითხი განხილულ იქნა საკრებულოში, რომელმაც ასახვა ჰპოვა შესაბამის დადგენილებებში;

კომისიამ გეგმის შესაბამისად განიხილა:

1. დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნა. ჯგუფის ხელმძღვანელების არჩევა. კომისიის წევრთა შორის ფუნქციების განაწილება.
2. განახორციელა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებთან კომისიის დებულებაში ცვლილებების შესახებ, მიიღო და გაითვალისწინა რეკომენდაციები;
3. შეისწავლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების არსებული წესი.
4. განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსის ანგარიში 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
5. ცვლილებების შესატანად შეისწავლა და განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულება .
6. შეისწავლა და განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულება.
7. შეიმუშავა და საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის კომისიის გეგმა.
8. ა(ა) იპ ,, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მდგომარეობა.
9. შეისწავლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების დემოგრაფიული მონაცემები.
10. დაგეგმა და მონაწილეობის ორგანიზება უზრუნველყო სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული ღონისძიებები მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ა(ა)ი.პ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი"ს წარმომადგენლებთან ერთად.
11. მოისმინა ა(ა)ი.პ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი"ს დირექტორის ა. მექვაბიშვილის ანგარიში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.
12. სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებულ ბაღებში ჩაატარა კვლევა.
13. ურეკის საზაფხულო სეზონთან დაკავშირებული ღონისძიების ,,ჩვენ, მზე და ლურჯი ზღვა"- პროგრამა განიხილა გამგეობის შესაბამის სამსახურთან ერთად. განახორციელა პროგრამის ანალიზი, წარმოადგინა შენიშვნები, სამსახურს მისცა რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
14. განიხილა კურორტ ,,გომისმთაზე" ჩასატარებელი ღონისძიების პროგრამა. განახორციელა პროგრამის ანალიზი, წარმოადგინა შენიშვნები, სამსახურს მისცა რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
15. განიხილა და დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურული ღონისძიებების პროგრამა.

16. განიხილა ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის კულტურის ცენტრის სტრატეგიული გეგმა.
17. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგია შეიმუშავა კულტურის სამსახურთან ერთად.
18. მოისმინა გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. განახორციელა ანგარიშის ანალიზი, წარმოადგინა შენიშვნები, სამსახურს მისცა რეკომენდაციები განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.
19. დაგეგმა და ჩაატარა ტრადიციული სახალხო დღესასწაული,,ექვთიმეობა" მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად.
20. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების თანამშრომლებთან ერთად შეისწავლა ახალგაზრდულ საქმიანობებში დაგეგმილი ღონისძიებები.
21. მოისმინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში.
22. მოისმინა, შეაფასა და შესაბამისი დასკვნით წარმოადგინა ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.
23. მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად განახორციელა საახალწლო საჩუქრების გადაცემა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, ლტოლვილებზე,მრავალშვილიან ოჯახებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და ას წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე.
24. კომისია სისტემატურად უზრუნველყოფდა შემოსული წერილების, განცხადებების და პროექტების განხილვას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედმა კომისიებთან და ფრაქციებთან ერთად განვიხილეთ გამგეობის მიერ წარმოდგენილი ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი. ეს პერიოდი ყველაზე აქტიური პერიოდი იყო კომისიის მუშაობის მანძილზე. არც ერთი საკითხი, რომლის განხილვა საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას ეხებოდა არ დაგვიტოვებია განსაკუთრებული ყურადღების გარეშე. ჩვენ მოვიწვიეთ ყველა სამსახურის ხელმძღვანელი და მოვთხოვეთ განემარტა კომისიისათვის ყველა ის პროექტი, რომლის განხორციელებასაც ის მუნიციპალიტეტის თანხებით გეგმავდა. ვფიქრობთ, ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ბიუჯეტში მაქსიმალურადაა წარმოდგენილი ყველა ის საშუალება, რაც მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე გააჩნია. პროექტის განხილვისას მომზადებული განმარტებები დასკვნის სახით წარედგინა საკრებულოს, რომელიც შემდეგ აისახა ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში.

კომისიაში შესაბამისი სფეროს სამსახურებიდან სისტემატურად შემოდიოდა ინიციატივები, წინადადებები, პროექტები . ასევე განხორციელებული სამუშაოს შესახებ ანგარიშები. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა, ასევე გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურების, მათი უფროსების და სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობა კომისიასთან.

მოგეხსენებათ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თვითმმართველ ერთეულზე დელეგირებული უფლებამოსილებები განსაზღვრულია კანონით ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ". მათგან განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია უფლებამოსილება საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში , მათ შორის საგანმანათლებლო , სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის შესახებ. ამ უფლებამოსილებიდან გამომდინარე, პერიოდულად ვთანამშრომლობდით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სამსახურთან, ვეცნობოდით მათ სამუშაო გეგმებს, ვისმენდით ანგარიშებს, ვმსჯელობდით ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე და ვარჩევდით პრობლემის მოგვარების ალტერნატიულ გზებს. რეალურად პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ არ არის დადგენილი ერთიანი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებისათვის, რომელიც შემუშავებულ უნდა იქნეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მიერ. სამინისტროს მიერ დადგენილი სანიტარული და ჰიგიენური ნორმები უკვე მოძველებულია და ეხება მხოლოდ ცალკეულ საკითხებს. ,,სანიტარული კოდექსის" ძალადაკარგულად გამოცხადების შედეგად გაუქმდა ამ კოდექსის საფუძველზე მიღებული ის კანონქვემდებარე აქტები , რომლებიც განსაზღვრავდნენ სანიტარული და ჰიგიენური ნორმების და ამ სფეროზე ზედამხედველობას. ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ „ კანონი , მართალია ითავლისწინებს ამ სფეროს მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტის მიღებას, მაგრამ დღემდე ასეთი აქტები მიღებული არ არის. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ ეს უფლებამოსილება პრაქტიკულად ვერ ხორციელდება. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში როგორც დელეგირებული, ისე საკუთრი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის აუცილებელია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღება.

სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის საკითხების მართვის სფეროში თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის მიზანია ახალგაზრდობის თვითრეალიზაციისათვის და მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

,,სპორტის შესახებ" კანონის მეშვიდე მუხლი განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებს სპორტის სფეროში. ამ მუხლის თანახმად, ,,სპორტის სფეროს ადგილებზე მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები , გარდა იმ საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და დაქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციების კომპეტენციას განეკუთვნება." კანონის ეს დებულება თვითმმართველობას აძლევს სპორტის სფეროს მართვის საკმაოდ ვრცელ წრეს. მაგრამ, ვფიქრობ, რომ თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა მიმართული უნდა იყოს მის მასობრიობაზე. ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები, რაც შეიძლება მეტი ადამიანი სარგებლობდეს სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების მომსახურებით, ჩაერთონ თვითმმართველობის ორგანოების მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებში. ანუ აქცენტები გაკეთდეს არა სპორტულ მიღწევებზე(რაზეც ოლიმპიური კომიტეტი და სპორტული ფედერაციები უნდა ზრუნავდნენ), არამედ მასობრივ ხასიათზე. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სპორტულ სექციებსა და ღონისძიებებში ბავშვთა და ახალგაზრდობის მონაწილეობას.

მინდა აღვნიშნო, რომ კალენდარული გეგმით გათვალისწინებული თითქმის ყველა ღონისძიება ჩატარდა . პირადად, როგორც კომისიის თავმჯდომარემ მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებთან ერთად მონაწილეობა მივიღე მათ დაგეგმვასა და ორგანიზებაში. ვესწრებოდი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

მოწყობილ კულტურულ , სოციალურ, მასობრივ, საგანმანათლებლო და სანახაობრივ ღონისძიებებს.

საანგარიშო პერიოდში რეაგირებისათვის დამეწერა სულ 23 წერილი და განცხადება. ყველა მათგანზე კანონით გათვალისწინებულ ვადებში მოვამზადე პასუხი.

განათლების, კულტურის, სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა ,ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხტა კომისიამ განიხილა მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტი. მოგეხსენებათ განათლების ხელშეწყობა 2017 წელს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, რომელიც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ჩვენი მიზანიც საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესის ჩამოყალიბება, სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და ბავშვების სოციალურ-ემოციური და ფიზიკური განვითარების სრულყოფაა.

აქტიურად ვთანამშრომლობდით არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებსაც აქვთ განსხვავებული ხედვები, დამოკიდებულებები, მიდგომები მთელი რიგი საკითხების მიმართ. ჩვენთვის საყურადღებოა მათი წინადადებები, რეკომენდაციები, რომელსაც დიდი ყურადღებით ვეცნობით და ვითვალისწინებთ კიდეც. მისასალმებელია მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის საშუალებების აქტიურობა. მიმაჩნია, რომ ასე უფრო მეტადაა შესაძლებელი ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. ამგვარი მიდგომით ჩვენმა კომისიამ შეინარჩუნა მასობრივი კომუნიკაცია საზოგადოებასთან. ჩვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ სისტემატურად ქვეყნდებოდა მუნიციპალიტეტის ვებ- გვერდზე ინფორმაციები, რომლითაც დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლეოდათ ჩართულიყვნენ კომისიის საქმიანობაში ან თვალი ედევნებინათ ჩვენს კომპეტენციას დაქვემდებარებული საკითხების განხილვისათვის. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების , კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია მაღალი პასუხისმგებლობით, აქტიურობით, გულისხმიერებითა და ეფექტური მიდგომებით განახორციელებს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

ვფიქრობ, რომ გასული 2016 წელი იყო ნაყოფიერი და საინტერესო . განსაკუთრებით გამოვყოფდი იმ პროექტებსდა ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენი აქტიური ჩართულობით განხორციელდა. ესაა:

- ოზურგეთში მცხოვრები სოციალურად დაუცველი, 90 უსახლკარო ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემა;
- მუნიციპალიტეტის მიერ 4 ახალი /ჭანიეთი, ბახვი, ცხემლისხიდი, სოფ. ოზურგეთი/, თანამედროვე სტანდარტების , შშმ პირებზე ადაპტირებული საბავშვო ბაღების აშენება;
- ტრადიციად დამკვიდრებული სახალხო დღესასწაულების- ,,კალანდობა", ,,ექვთიმეობა", ,,დვაბზუობა" და ,,შემოქმედობა", ,,გომისმთობა"-აღნიშვნა და გამორჩეული ადამიანების საპატიო მოქალაქის ტიტულით დაჯილდოება;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში , ადრეული შუა საუკუნეების ციხე-ქალაქის , ვაშნარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოებისადმი მხარდაჭერა./ ვაშნარის ტერიტორიის შესწავლა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით დაიწყო და მას აკადემიკოსები ვაჟა სადრაძე და მერაბ ძნელაძე ახორციელებენ. 1949 წლის შემდეგ მსგავსი ღონისძიებები

ვაშნარის ტერიტორიაზე პირველად ჩატარდა. ამ ეტაპზე მოხდა ტერიტორიის გაწმენდა და კონტურების დაფიქსირება. შემდეგ იგეგმება ძეგლის აღდგენა-კონსერვაცია./

- დადგენილების მიღება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)-ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესის და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ".
  /საჯაროობა და ინფორმირებული მოსახლეობა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითადი მიმართულებაა. აღნიშნული ნორმატიული აქტი ამ მხრივ ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ამ წესით დადგინდა როგორც მუნიციპალიტეტის ორგანოების, ასევე საბიუჯეტო დაწესებულებების საქმიანობის საჯარო განხილვა, დაგეგმვა და შესაბამისად, აღსრულება./

როგორც დეპუტატი ვმონაწილეობდი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საჯარო დისკუსიებში თემებზე: ,, არასრულწლოვათა დაცვა ალკოჰოლისა და თამბაქოსაგან", ,,მიმდინარე მიგრაციული პროცესები", ,,რელიგიური ტოლერანტობა და რელიგიური თავისუფლება", ,,მომავლის თაობის პროექტები" და სხვ. / ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა და თანადგომა ასეთი მნიშვნელოვანი თემების და პროგრამების განხილვისას აუცილებელია. ახალგაზრდები , რომლებიც ჩართულნი არიან ამ პროგრამებში, ეუფლებიან არა მარტო სამოქალაქო განათლების მიმართულებებს, არამედ ითვისებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ასე აუცილებელია ჩვენი საზოგადოებისათვის./

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავიარე კონრად ადენაუერის ფონდის ინიციატივით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი-,,საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებში"; წარმატებით გავიარე სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის 3 თვიანი სასწავლო კურსი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები";

ვმონაწილეობდი საკრებულოს წევრ ქალთა მესამე კონფერენციაში- ,,გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად". ასევე ვიყავი საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მონაწილე.ორთავე შეხვედრამ საშუალება მომცა გავცნობოდი კოლეგების გამოცდილებას, არსებული პრობლემების შესახებ მომესმინა პასუხები კომპეტენტური ადამიანებისგან და საერთაშორისო ექსპერტებისგან, პრეზენტაციის სახით გამეცნო მათთვის ჩემი ხედვა და ჩვენი საკრებულოს მუშაობის მიმართულებები.

გასულ წელს მონაწილეობა მივიღე გაზეთ ,,გურია ნიუსისა" და ორგანიზაცია POST-ალიონის ბლოგების კონკურსში, რომელიც UNDP-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ,,მონოლოგიდან დიალოგამდე" ფარგლებში ჩატარდა. პროექტი მიზნად ისახავდა გურიის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ადგილობრივ პოლიტიკურ სპექტრში მომუშავე ქალების საქმიანობის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას, მათ კონსოლიდაციას, მონოლოგიდან დიალოგის რეჟიმში გადასვლის ხელშეწყობას. ,,გურია ნიუსის" ვებ-გვერდზე ყოველკვირეულად ქვეყნდებოდა გურიის ოთხივე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალი-წევრების ბლოგ-პოსტები სახელწოდებით ,,ქალი პოლიტიკოსის კვირა". მოხარული ვარ, რომ ჩემს

ბლოგს ყველაზე მეტი მნახველი ჰყავდა. მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ამ პროექტის ორგანიზატორებს. პროექტში გამარჯვებაზე მეტად ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ საშუალება მომეცა ჩემი ამომრჩევლებისათვის, თანამოაზრეებისათვის, გულშემატკივრებისა და თვით ოპონენტებისთვისაც კი გამეცნო ჩემი პიროვნება, საქმიანობა, ღირებულებები და ფასეულობები.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენი უფლებამოსილების ვადაში გავაგრძელებთ ჩვენს ამომრჩევლებთან აქტიურ კომუნიკაციას და მათი ინტერესების მაქსიმალურ დაცვას. ამის გარანტად უპირველესად მიმაჩნია ამომრჩევლებისადმი ჩვენი დამოკიდებულება, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი და მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის სწორად დასახული პრიორიტეტები.

საკრებულოს წევრი : ლ.საჯაია /ლ.საჯაია/